





პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 2/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

**პარაგრაფი 2: საფრთხეების იდენტიფიკაცია**

**2.1. ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია**

აალებადი სითხე: კატეგორია 3 (H226)  
 მწვავე პერორალური ტოქსიკურობა: კატეგორია 4 (H302)  
 მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა: კატეგორია 4 (H332)  
 კანის გაღიზიანება: კატეგორია 2 (H315)  
 თვალის დაზიანება: კატეგორია 1 (H318)  
 კანცეროგენულობა: კატეგორია 2 (H351)  
 სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა – ერთჯერადი ექსპოზიცია: კატეგორია 3 (H335 და H336)  
 სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა – განმეორებითი ექსპოზიცია: კატეგორია 1 (H372)  
 ასპირაციული ტოქსიკურობა: კატეგორია 1 (H304)  
 წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, მწვავე: კატეგორია 1 (H400)  
 ქრონიკული: კატეგორია 1 (H410)

ჯანმო კლასიფიკაცია ..... კლასი II: ზომიერად საშიში

ფიზიკურ-ქიმიური საშიშროება ..... პრეპარატი არის აალებადი.

ჯანმრთელობის მიართ საფრთხეები ..... პრეპარატი მავნეა გადაყლაპვისა და ჩასუნთქვის დროს. მას აქვს გამაღიზიანებელი თვისებები. მას შეუძლია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. მან შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესია.

აქტიური ნივთიერება **ბიფენტრინი** ტოქსიკურია ჩასუნთქვის დროს და გადაყლაპვის შემთხვევაში. ის არის კიბოს საეჭვო გამომწვევი.

ეკოლოგიური საფრთხეები ..... პრეპარატი ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.

**2.2 ეტიკეტის ელემენტები**

EU 1907/2006 რეგულაციისა და მისი ცვლილებების შესაბამისად

პროდუქტის იდენტიფიკატორი ..... ტალსტარი 10 ეკ  
 შეიცავს ბიფენტრინს, არომატულ ნახშირწყალბადებს, C9 და ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილებს

საშიშროების აღმნიშვნელი პიქტოგრამები (GHS02, GHS05, GHS07, GHS08, GHS09) .....



სასიგნალო სიტყვა ..... საშიშროება



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 3/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

საშიშროების შესახებ განცხადებები

H226 .....	აალებადი სითხე და ორთქლი.
H302 .....	მავნეა გადაყლაპვისას.
H304 .....	შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვის ან სასუნთქ გზებში მოხვედრისას.
H315 .....	იწვევს კანის გაღიზიანებას.
H318 .....	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H332 .....	მავნეა ჩასუნთქვისას.
H335 .....	შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება.
H336 .....	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა.
H351 .....	კიბოს საეჭვო გამომწვევი.
H410 .....	ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

დამატებითი საშიშროების შესახებ განცხადებები

EUH066 .....	განმეორებითა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა.
EUH401 .....	ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქცია.

გამაფრთხილებელი განცხადებები

P261 .....	არ ჩაისუნთქოთ ორთქლი.
P280 .....	გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები, დამცავი სპეცტანსაცმელი და თვალების დამცავი საშუალებები.
P303+P361+P353 .....	<i>კანზე (ან თმაზე) მოხვედრისას:</i> დაუყოვნებლივ გაიხადეთ ყველა დაბინძურებული ტანსაცმელი. კანი ჩამოიბანეთ წყლით/შხაპით.
P305+P351+P338 .....	<i>თვალებში მოხვედრისას:</i> ფრთხილად გამოირეცხეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელეთ გამორეცხვა.
P310 .....	სასწრაფოდ მიმართეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს ან ექიმს.
P501 .....	შეთავსი / ტარა განათავსეთ, როგორც საშიში ნარჩენები.

**2.3. სხვა რისკები** ..... პროდუქტის არც ერთი ინგრედიენტი არ აკმაყოფილებს PBT ან vPvB კრიტერიუმებს.

**პარაგრაფი 3: შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ**

**3.1. ნივთიერებები** ..... პროდუქტი არის ნარევი და არა ნივთიერება.  
**3.2. ნარევი** ..... საშიშროების შესახებ განცხადებების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

*ბიფენტრინი*

<b>ბიფენტრინი</b> .....	შემცველობა: <12% წონის მიხედვით
CAS სახელწოდება .....	3 - [(1Z) -2-ქლორ-3,3,3-ტრიფტორ-1-პროპენ-1-ილ] -2,2-დიმეთილ-ციკლოპროპან-კარბონის მჟავას, (2-მეთილ [1,1'-ბიფენილ] -3-ილ) მეთილის ეთერი, (1R,3R)-rel-
CAS-No .....	82657-04-3
IUPAC სახელწოდება .....	2-მეთილ-3-ფენილბენზილი (1RS) -ცის-3- (2-ქლორ-3,3,3-ტრიფტორ-პროპენ-1-ილ) -2,2-დიმეთილციკლოპროპან-კარბოქსილატი
ISO სახელწოდება /EU სახელწოდება .....	ბიფენტრინი
EC no. (EINECS no.) .....	არცერთი
EU ინდექსის ნომერი .....	არა
მოლეკულური მასა .....	422.9



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 4/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

ინგრედიენტის კლასიფიკაცია ..... მწვავე პერორალური ტოქსიკურობა: კატეგორია 2 (H300)  
 მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა: კატეგორია 3 (H331)  
 სენსიბილიზაცია: კატეგორია 1B (H317)  
 კანცეროგენულობა: კატეგორია 2 (H351)  
 სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა – განმეორებითი ექსპოზიცია: კატეგორია 1 (H372)  
 წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, მწვავე: კატეგორია 1 (H400)  
 ქრონიკული: კატეგორია 1 (H410)

რეგისტრირებული ინგრედიენტები	შემცველობა (% w/w)	CAS-No	EC no.	კლასიფიკაცია
არომატული ნახშირწყალბადები, C9 რეგისტ. ნომერი 01-2119455851-35	81		918-668-5	აალ. სითხ. 3 (H226) STOT SE 3 (H335) STOT SE 3 (H336) ასპ. ტოქ. 1 (H304) წყლისათვის ქრონიკული 2(H411)
ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები	4	68953-96-8	EINECS no.: 273-234-6	მწვავე ტოქ. 4 (H312) კანის გაღ. 2 (H315) თვალის დაზ. 1 (H318) წყლისათვის ქრონიკული 2(H411)

**პარაგრაფი 4: პირველადი დახმარების ზომები**

- 4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა** თუ ზემოქმედება მოხდა, ნუ დაელოდებით სიმპტომების გამოვლენას, დაუყოვნებლივ დაიწყეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები.
- ჩასუნთქვისას ..... თუ რაიმე დისკომფორტს განიცდით, დაუყოვნებლივ დატოვეთ ზემოქმედების ზონა. მსუბუქი შემთხვევები: დაზარალებული ამოოფეთ მეთვალყურეობის ქვეშ. სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. სერიოზული შემთხვევები: სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს ან გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება.
- თუ დაზარალებულს სუნთქვა გაუჩერდა, დაუყოვნებლივ დაიწყეთ ხელოვნური სუნთქვა და არ შეწყვიტოთ ექიმის/სასწრაფო დახმარების მოსვლამდე.
- კანზე მოხვედრისას ..... დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. არ დაიწყეთ წყლით ჩამობანვით, თავდაპირველად მოიწმინდეთ მშრალი ქსოვილით ან ტალკის ფხვნილის გამოყენებით, შემდეგ დაიბანეთ წყლითა და საპნით. ამის შემდეგ წაისვით ლიდოკაინი, E ვიტამინის შემცველი კრემი, ცხიმოვანი კანის მოვლისთვის განკუთვნილი ზეთი ან კრემი. თუ დაზიანება სერიოზულია ან თავს ცუდად გრძნობთ მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება.
- თვალში მოხვედრისას ..... დაუყოვნებლივ გამოირეცხეთ თვალები ქუთუთოების პერიოდული გახსნით, დიდი რაოდენობის წყლით ან თვალის ამოსარეცხი ხსნარით, ქიმიური ნივთიერების ნარჩენების სრულყოფილად მოცილებამდე. რამდენიმე წუთის შემდეგ მოიხსენით კონტაქტური ლინზები და კვლავ გააგრძელეთ გამორეცხვა. სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 5/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

ჩაყლაპვისას ..... სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს ან მიიღეთ სამედიცინო დახმარება. პაციენტს გამოარეცხინეთ პირი და დალევინეთ 1 ან 2 ჭიქა წყალი ან რძე. ლებინება გამოიწვიეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. გადაყლაპულია მნიშვნელოვანი რაოდენობა (ერთ ყლოუპზე მეტი)
2. პაციენტი სრულ გონებაზეა
3. სამედიცინო დახმარება არ არის ხელმისაწვდომი
4. ჩაყლაპვის შემდეგ დრო ერთ საათზე ნაკლებია.

პაციენტს შეუძლია გამოიწვიოს ლებინება ხახის უკანა კედელზე თითის შეხებით. თუ პირლბინება მოხდა, იყავით ფრთხილად, რომ ნარწყვეი არ მოხვდეს სასუნთქ გზებში. დაზარალებულს გამოარეცხინეთ პირი და კვლავ დაალევინეთ სითხეები.

**4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი სიმპტომები და შედეგები, მწვავე და დაგვიანებული ....** ბიფეტრინმა ზემოქმედების ადგილებში შეიძლება გამოიწვიოს წვის მსგავსი შეგრძნება, დაბუყება ან ჩხვლეტა (პარესთეზია).

**4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება .....** მოწამვლის ნებისმიერი სიმპტომის გამოვლენისას, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს (თერაპევტს), პოლიკლინიკას ან საავადმყოფოს. აუხსენით, რომ დაზარალებული იმყოფება პირეტროიდული ინსექტიციდის ზემოქმედების ქვეშ. აუღწერეთ მისი მდგომარეობა და ზემოქმედების ხარისხი. ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი დაუყოვნებლივ გაიყვანეთ იმ ადგილიდან, სადაც არის პრეპარატი.

კანის ნებისმიერ მიდამოში ტკივილის შეგრძნების დროს (იხ. პარაგრაფი 11), რეკომენდებულია ლიდოკაინის ან E ვიტამინის შემცველი კრემის სასწრაფოდ გამოიყენება. ამ მიზნით, სამუშაო ადგილზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ლიდოკაინი ან E ვიტამინის შემცველი კრემი.

შეიძლება სასარგებლო იყოს ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის ექიმისთვის ჩვენება.

მითითებები ექიმისთვის ..... ამ ნივთიერების საწინააღმდეგო სპეციფიკური ანტიდოტი არ არის ცნობილი. შეიძლება კუჭის ამორეცხვისა და აქტივირებული ნახშირის მიღების გათვალისწინება. ჩვეულებრივ, გამოჯანმრთელება ხდება სპონტანურად.

პროდუქტი შეიცავს ნავთობის დისტილატებს, რომლებმაც შეიძლება წარმოქმნას ასპირაციული პნევმონიის საფრთხე.

კანში შეღწევისას ბიფეტრინმა შეიძლება გამოიწვიოს მზის დამწვრობის მსგავსი გაღიზიანება. ნივთიერება შეიწოვება არაპოლარულ გარემოში, როგორცაა ცხიმის საფუძველზე დამზადებული ზეთი ან კრემი. არსებული ინფორმაციით, E ვიტამინის შემცველი კრემი გამოიყენება სამკურნალოდ. წყალი ძლიერ პოლარულია და ის არა თუ ვერ შეამცირებს გაღიზიანებას, არამედ პირიქით, შეიძლება გამოიწვიოს მისი გახანგრძლივება. ცხელმა წყალმა შეიძლება გააძლიეროს ტკივილი.

თვალის დაზიანებების შემთხვევაში, შესაძლებელია ადგილობრივი საანესთეზიო საშუალების ჩაწვეთება.



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 6/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

**♣ პარაგრაფი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები**

**5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები**

მშრალი ქიმიური ნივთიერებები ან ნახშირბადის დიოქსიდი მცირე ხანძრების შემთხვევაში, გაფრქვეული წყლის ნაკადი ან ქაფი დიდი ხანძრების დროს. მოერიდეთ წყლის ძლიერ ჭავლს.

**5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები**

დაშლის ძირითადი პროდუქტები არის აქროლადი, ტოქსიკური, გამაღიზიანებელი და აალებადი ნაერთები, როგორცაა ქლორწყალბადი, ფტორწყალბადი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოოქსიდი, ნახშირბადის დიოქსიდი და სხვადასხვა ქლორირებული და ფტორირებული ორგანული ნაერთები.

**5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის**

ცეცხლისგან დაუცველი კონტეინერების გასაგრილებლად გამოიყენეთ წყლის ჭავლი. საშიში ორთქლისა და ტოქსიკური დაშლის პროდუქტების ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ცეცხლს მიუახლოვდით ქარის მიმართულების საწინააღმდეგო მხრიდან. ცეცხლი ჩააქრეთ დაცული ლოკაციიდან ან მაქსიმალურად შესაძლო დისტანციიდან. წყლის გადინების აღსაკვეთად, ტერიტორია დაიცავით თხრილის შემოვლებით. მეხანძრე-მაშველმა უნდა გამოიყენოს ავტონომიური სასუნთქი აპარატი და დამცავი სპეცტანსაცმელი.

**პარაგრაფი 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს**

**6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები .....**

დაღვრის/გაჟონვის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია სამოქმედო გეგმის ქონა. თუ დაღვრა მაინც ხდება, აუცილებელია დაღვრილი პრეპარატის შეგროვება და ტერიტორიის დაუყოვნებლივი გაწმენდა წინასწარ დადგენილი გეგმის შესაბამისად. ტერიტორიის ან მოწყობილობის გაწმენდა ასევე რეკომენდებულია საექვო დაბინძურების შემთხვევაშიც.

დაღვრილი პრეპარატის შესაგროვებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცარიელი, დახურვადი კონტეინერები.

- მასშტაბური დაღვრის შემთხვევაში (10 ტონა პროდუქტი ან მეტი):
1. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; იხილეთ მე-8 პარაგრაფი.
  2. დარეკეთ საგანგებო სამსახურის ტელეფონის ნომერზე; იხილეთ პირველი პარაგრაფი.
  3. შეატყობინეთ სახელმწიფო უწყებებს.

დაიცავით უსაფრთხოების ყველა ზომა დაღვრილი პრეპარატის ლოკალიზაციის/დასუფთავების დროს. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. დაღვრის მასშტაბიდან გამომდინარე, ეს შეიძლება გულისხმობდეს რესპირატორის, ნიღაბის ან დამცავი სათვალის, ქიმიური დამცავი სპეცტანსაცმელის, ხელთათმანებისა და რეზინის ჩექმების გამოყენებას.

დაუყოვნებლივ შეაჩერეთ შემდგომი დაღვრა/გაჟონვა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. დაუცველი პერსონალი დაუყოვნებლივ გაიყვანეთ დაღვრის ადგილიდან მოშორებით. მაქსიმალურად აიცილეთ და შეამცირეთ ორთქლის ან ნისლის წარმოქმნა. მოიშორეთ აალების წყაროები.



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 7/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

**6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები** .....

შეაგროვეთ დაღვრილი პრეპარატი ზედაპირის, ნიადაგის ან წყლის შემდგომი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. არ დაუშვათ ნარეცხი წყლის ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩადინება. წყალსატევებში უკონტროლო მოხვედრის შესახებ აუცილებლად აცნობეთ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

**6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები** .....

რეკომენდებულია პრეპარატის დაღვრის დამაზიანებელი შედეგების პრევენციის შესაძლებლობების განხილვა, გაუმტარი ბარიერის მოწყობა ან გადაფარვა. იხილეთ GHS (დანართი 4, პარაგრაფი 6).

გამოიყენეთ უნაპერწკლო იარაღები და აღჭურვილობა. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაიხუროს ზედაპირული წყლის სადრენაჟე არხები. იატაკზე ან სხვა გაუმტარ ზედაპირზე მცირე რაოდენობით დაღვრილი პრეპარატის ლოკალიზაცია უნდა მოხდეს ინერტულ შთამთქმელით, როგორცაა უნივერსალური შემკვრელი, ატაპულგიტი, ბენტონიტი ან სხვა მშთანთქმელი თიხა. დაბინძურებული მშთანთქმელი ასალა შეაგროვეთ შესაბამის კონტეინერში. ტერიტორია მოწმინდეთ ძლიერი სამრეწველო სარეცხი საშუალებითა და დიდი რაოდენობის წყლით. ნარეცხი სითხის შეწოვა მოხდინეთ შესაბამისი მშთანთქმელით და დაბინძურებული აბსორბენტი გადაიტანეთ შესაბამის კონტეინერში. გამოყენებული კონტეინერები უნდა იყოს სათანადოდ დახურული და მარკირებული.

მასშტაბური დაღვრის შედეგად გაჟღენთილი ნიადაგი უნდა მოიხსნას და მოთავსდეს შესაბამის კონტეინერებში.

წყალში ჩაღვრილი პროდუქტი მაქსიმალურად უნდა შეგროვდეს დაბინძურებული წყლის იზოლირებით. დაბინძურებული წყალი უნდა შეგროვდეს და გატანილ იქნას დამუშავების ან გაუვნებლობის მიზნით.

**6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე** .....

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 8.2 ქვეპარაგრაფში.  
განკარგვა/უტილიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

**პარაგრაფი 7: გამოყენება და შენახვა**

**7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს** .....

პროდუქტი არის აალებადი. შესაძლებელია ორთქლი-ჰაერის ფეთქებადი ნარეგების წარმოქმნა. მიიღეთ ხანძარსაწინააღმდეგო ზომები მთავრად აალების წყაროებს და დაიცავით ცეცხლისა და სითბოს ზემოქმედებისგან. მიიღეთ უსაფრთხოების ზომები სტატიკური ელექტრობის განმუხტვის თავიდან ასაცილებლად.

თუ სითხის ტემპერატურა 30°C-ზე დაბალია, რაც 10°C-ით ნაკლებია მის აალების ტემპერატურაზე 40°C, ხანძრისა და აფეთქების საშიშროება არის მცირე. მაღალ ტემპერატურაზე, საფრთხე უფრო სერიოზულია.

საწარმოო გარემოში მნიშვნელოვანია პროდუქტთან ნებისმიერი შეხების თავიდან ასაცილებლად, შესაძლებლობის ფარგლებში დისტანციური მართვის სისტემით აღჭურვილი დახურული სისტემების გამოყენება. პრეპარატი მაქსიმალურად უნდა დამუშავდეს მექანიკური საშუალებებით. აუცილებელია სათანადო განიავება ან ადგილობრივი



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 8/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

გამწოვი ვენტილაცია. გამონაბოლქვი აირები უნდა გაიფილტროს ან დამუშავდეს სხვა გზით. ამ ვითარებაში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში.

პესტიციდის სახით გამოყენებისას, პირველ რიგში ყურადღებით გაეცანით პროდუქტის ტარის ოფიციალურად დამტკიცებულ ეტიკეტზე განთავსებულ უსაფრთხოების ზომებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციას ან სხვა ოფიციალურ მითითებებს ან მოქმედ წესებს. არქონის შემთხვევაში იხილეთ მე-8 პარაგრაფი.

ყველა დაუცველი პირი და ბავშვები მთავრადეო სამუშაო ადგილს.

სასწრაფოდ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. საფუძვლიანად გარეცხეთ პროდუქტის გამოყენების შემდეგ. სანამ მოიხსნიდეთ ხელთათმანები გარეცხეთ საპნითა და წყლით. მუშაობის დასრულების შემდეგ გაიხადეთ ყველა სამუშაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. მიიღეთ შხაპი, გამოიყენეთ წყალი და საპონი. სამუშაო ზონიდან გამოსვლისას, ჩაიცვით მხოლოდ სუფთა ტანსაცმელი. გარეცხეთ დამცავი სპეცტანსაცმელი და დამცავი საშუალებები წყლითა და საპნით ყოველი გამოყენების შემდეგ.

სამუშაო ადგილი ყოველთვის უნდა იყოს სუფთა. გამოყენებული პირადი დაცვის საშუალებები ან უნდა გადაადოთ ან გაწმინდოთ გამოყენებისთანავე. რესპირატორის გაიწმინდა და ფილტრის შეცვლა უნდა მოახდინოთ თანდართული ინსტრუქციების შესაბამისად.

პრეპარატი არ უნდა მოხვდეს ბუნებრივ გარემოში. არ დაბინძუროთ ბუნებრივი წყლები, აპარატურის დასუფთავების შედეგად დაგროვილი ნარეცხი წყლების გაუფრთხილობის დროს. შეაგროვეთ ყველა ნარჩენი მასალა და დასუფთავების საშუალებების ნარჩენები, და ა.შ. და განათავსეთ როგორც სახიფათო ნარჩენები. უტილიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

**7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით**

პროდუქტი სტაბილურია სასაწყობე სივრცეში ნორმალურ პირობებში შენახვისას.

შეინახეთ დახურულ, მარკირებულ ტარაში. სასაწყობე ნაგებობა უნდა იყოს არააალებადი მასალისგან აშენებული, დახურული, მშრალი, განიავებადი, წყალგაუმტარი იატაკით, უცხო პირებისა და ბავშვებისათვის მიუწვდომელი. რეკომენდებულია გამაფრთხილებელი ნიშანი, წარწერით „შხამი“ (*"ტოქსიკური ნივთიერება"*). სასაწყობე ნაგებობა უნდა გამოიყენოთ მხოლოდ ქიმიკატების შესანახად. ამ ტერიტორიაზე დუშვებელია საკვები პროდუქტების, სასმელის, ფურაჟისა და თესლების შენახვა. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელების დასაბანი ადგილი.

**7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება**

პროდუქტი არის რეგისტრირებული პესტიციდი, რომლის გამოყენება შეიძლება მარეგულირებელი ორგანოების მიერ დამტკიცებული ეტიკეტის შესაბამისად მხოლოდ იმ დანიშნულებით, რაისთვისაც ის დარეგისტრირდა.





პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 9/18
პროდუქტის დასახელება	ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC	მარტი 2018

**პარაგრაფი 8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება**

**8.1. კონტროლის პარამეტრები**

ჩვენი ინფორმაციით, ამ პროდუქტის მოქმედი ნივთიერების ბიფენტრინისათვის ზემოქმედების ზღვრული მაჩვენებლები არ არის დადგენილი.

არომატული ნახშირწყალბადები . . . . .

ნახშირწყალბადების რეკომენდებული საერთო შემცველობაა 100 ppm. ნარევი შეიცავს ტრიმეთილ ბენზოლს. ტრიმეთილ ბენზოლისათვის ACGIH-ის მიერ რეკომენდებული TLV-TWA არის 25 ppm (123გ/მ<sup>3</sup>).

ამასთან, შეიძლება არსებობდეს ადგილობრივი რეგულაციებით განსაზღვრული ინდივიდუალური ზემოქმედების სხვა ზღვრები, რომელთა დაცვა არის აუცილებელი.

**ბიფენტრინი**

DNEL . . . . . 0.0075 მგ / კგ სწ/ დღე  
 PNES, წყლის გარემო . . . . . 0.095 ნგ/ლ

**არომატული ნახშირწყალბადები**

DNEL დერმალური . . . . . 12.5 მგ / კგ სწ/დღე  
 DNEL ინჰალაციური . . . . . 150 მგ/მ<sup>3</sup>  
 PNES, წყლის გარემო . . . . . არ არის განსაზღვრული

**8.2. ზემოქმედების კონტროლი**

დახურულ სისტემაში გამოყენებისას, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ტარება არ იქნება აუცილებელი. შემდგომი მითითებები განკუთვნილია სხვა სიტუაციებისთვის, როდესაც დახურული სისტემის გამოყენება შეუძლებელია, ან როდესაც აუცილებელია სისტემის გახსნა. გახსნამდე გაითვალისწინეთ დანადგარების ან მილსადენი სისტემების უსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანის საჭიროება.

ქვემოთ მითითებული უსაფრთხოების ზომები, უპირველესად გასათვალისწინებელია განუზავებელ პროდუქტთან მუშაობისას და შესაწამლი ხსნარის მომზადების დროს, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს რეკომენდებული შეწამვლის დროსაც.

შემთხვევითი ძლიერი ექსპოზიციის დროს შეიძლება საჭირო გახდეს პირადი უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა, რაც გულისხმობს სახის ნიღაბის, რესპირატორის, ქიმიური ნივთიერებებისაგან დამცავი სპეცტანსაცმლის გამოყენებას.



**სასუნთქი გზების დაცვა**

ძლიერ ორთქლის ან ნისლის წარმომქმნელი ნივთიერების შემთხვევით გამოთავისუფლების დროს, მომუშავე პერსონალმა უნდა გამოიყენოს ოფიციალურად დამტკიცებული სასუნთქი გზების დამცავი მოწყობილობა/რესპირატორი უნივერსალური ტიპის ფილტრით, ნაწილაკების ფილტრის ჩათვლით.



**დამცავი ხელთათმანი**

გამოიყენეთ ქიმიური ნივთიერებებისაგან დამცავი გრძელი ხელთათმანი, როგორცაა ბარიერული შრეებიანი (ლამინირებული), ბუტილის რეზინის ან ნიტრილის რეზინის. ამ მასალებში აღნიშნული პროდუქტის შეღწევის დრო უცნობია. ზოგადად, დამცავი ხელთათმანის გამოყენება მხოლოდ ნაწილობრივ იცავს კანს ზემოქმედებისგან. ადვილად შეიძლება მოხდეს ხელთათმანზე მცირე ნახვრეტების ან



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 10/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

ნაკაწრების წარმოქმნა და ჯვარედინი დაბინძურება. რეკომენდებულია ხელით შესასრულებელი სამუშაოების შეზღუდვა და დაბინძურების ეჭვის არსებობის შემთხვევაში ხელთათმანების დაუყონებლივი შეცვლა. იყავით ფრთხილად, არაფერს შეეხოთ დაბინძურებული ხელთათმანით. გადაყარეთ ნახმარი ხელთათმანები და არ გამოიყენოთ ხელმეორედ. სამუშაოს დასრულებისთანავე დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით.



**თვალის დაცვა**

გაიკეთეთ სახის ფარი, სათვალის ან უსაფრთხოების სათვალის ნაცვლად. უნდა გამოირიცხოთ თვალში მოხვედრის შესაძლებლობა.



**კანის სხვა დაცვა**

კანზე მოხვედრის ასაცილებლად, გამოიყენეთ ექსპოზიციის დონის შესაბამისი ქიმიური ნივთიერებების მიმართ მედეგი სპეცტანსაცმელი. მეტწილად, ჩვეულებრივ სამუშაო პროცესის დროს, როდესაც განსაზღვრულ დროს შუალედში შეუძლებელია პრეპარატის ექსპოზიციის აცილება, საკმარისი იქნება წყალგაუმტარი შარვალი და ქიმიური დამცავი მასალის წინსაფარი ან პოლიეთილენის (PE) სპეცტანსაცმელი. თუ გამოყენების შემდეგ პოლიეთილენის სამუშაო კომბინიზონი დაბინძურდა, ის უნდა განადგურდეს. გადაჭარბებული ან ხანგრძლივი ექსპოზიციის შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ბარიერული შრეებიანი (ლამინირებული) სპეცტანსაცმლის გამოყენება.

**პარაგრაფი 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები**

**9.1. ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:**

გარეგანი სახე .....	ღია ყავისფრი სითხე
სუნი .....	არომატული ნახშირწყალბადების სუსტი სუნი
სუნის შეგრძნების ზღვარი	არ არის დადგენილი
pH .....	1%-იანი დისპერსია წყალში: 5.28
ლღობის ტემპერატურა .....	არ არის განსაზღვრული
დუღილის საწყისი ტემპერატურა და დუღილის დიაპაზონი .....	იშლება 40° C
აალების ტემპერატურა .....	(ბუტილ აცეტატი = 1)
აორთქლების სიჩქარე .....	<b>არომატული ნახშირწყალბადები:</b> 0.15 არ გამოიყენება (სითხე)
აალებადობა (მყარი, გაზი) .....	
აალებადობის ან აფეთქების ზედა/ქვედა ზღვარი .....	<b>არომატული ნახშირწყალბადები:</b> 0.8 - 7.0 მოც % (≈ 0.8 - 7.0 კპა)
ორთქლის წნევა .....	<b>ბიფენტრინი:</b> 2.4 x 10 <sup>-5</sup> კპა 25°C-ზე
	<b>არომატული ნახშირწყალბადები:</b> <0.20 კპა 20°C-ზე (ჰაერი = 1)
ორთქლის სიმკვრივე .....	<b>არომატული ნახშირწყალბადები:</b> > 1
ფარდობითი სიმკვრივე .....	არ არის განსაზღვრული
ხსნადობა .....	სიმკვრივე: 0.913 - 0.916 გ / მლ <b>ბიფენტრინი</b> იხსნება ქსილოლში, ტოლუოლში, აცეტონში, ნ-ჰექსანში, ეთილ აცეტატში, ქლოროფორმში, 1,2-დიქლოროეთანსა და დიეთილეთერში და მცირედ ხსნადია მეთანოლში.
	<b>ბიფენტრინის</b> წყალში ხსნადობა: <1 მკგ /ლ pH 7 და 20°C-ზე
განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი/წყალი .....	<b>ბიფენტრინი:</b> log K <sub>ow</sub> >6 <b>არომატული ნახშირწყალბადები:</b> ზოგიერთ მთავარ კომპონენტს აქვს log K <sub>ow</sub> = 3.4 - 4.1
თვითაალების ტემპერატურა .....	არ არის განსაზღვრული
დაშლის ტემპერატურა .....	არ არის განსაზღვრული



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 11/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

სიბლანტე ..... არ არის განსაზღვრული  
 ფეთქებადი თვისებები ..... არ არის ფეთქებადი  
 ჟანგვითი თვისებები ..... არ არის დამჟანგავი

**9.2. დამატებითი ინფორმაცია**

შერევალობა პროდუქტი არის წყალში დისპერგირებადი.

**პარაგრაფი 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა**

10.1. რეაქტიულობა ..... როგორც ჩვენთვის ცნობილია, პროდუქტს სპეციფიკური რეაქციის უნარიანობა არ ახასიათებს.  
 10.2. ქიმიური მდგრადობა ..... ბიფენტრინი იშლება გაცხელების დროს.  
 10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა ..... არ არის ცნობილი.  
 10.4. ასარიდებელი გარემოებები ..... პროდუქტის გაცხელებით წარმოიქმნება მავნე და გამაღიზიანებელი ორთქლი.  
 10.5. შეუთავსებელი მასალები ..... არ არის ცნობილი.  
 10.6. საშიში დაშლის პროდუქტები ..... იხილეთ ქვეპარაგრაფი 5.2.

**პარაგრაფი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია**

**11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ**

\*=არსებული მონაცემებზე დაყრდნობით არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

პროდუქტი

მწვავე ტოქსიკურობა ..... პრეპარატი მავნეა ჩაყლაპვისა და შესუნთქვის დროს. მაგრამ კანთან შეხების დროს არ მიიჩნევა საზიანოდ. მწვავე ტოქსიკურობა გაიზომა როგორც:

შეყვანის გზა: – ჩაყლაპვა LD50, პერორალური, ვირთავვა: 383 მგ/კგ (მეთოდი US-EPA 81-1)  
 – კანი LD50, დერმალური, კურდღელი: > 2000 მგ/კგ (მეთოდი US-EPA 81-2) \*  
 – ინჰალაცია LC50, ინჰალაცია, ვირთავვა (მამრი): 5.16 მგ/ლ/4 სთ  
 LC50, ინჰალაცია, ვირთავვა (მდედრი): > 2.20 მგ/ლ/4 სთ

კანის კოროზია/გალიზიანება ..... აღიზიანებს კანს (მეთოდი US-EPA 81-5). შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე.

თვალის სერიოზული დაზიანება/გალიზიანება ..... ძლიერ აღიზიანებს თვალებს (მეთოდი US-EPA 81-4).

სასუნთქი გზების ან კანის სენსიბილიზაცია ..... პრეპარატი არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას (მეთოდი US-EPA 81-6).\*

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა ..... პროდუქტი არ შეიცავს ინგრედიენტებს, რომლებიც ცნობილია მუტაგენური მოქმედებით.\*

კანცეროგენულობა ..... ბიფენტრინისათვის დაფიქსირდა ღვიძლისა და შარდის ბუშტის სიმსივნის შემთხვევათა მატება მამრ თაგვებში (მეთოდი EPA 83-2), მაგრამ არა ვირთავებში.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა ..... პროდუქტი არ შეიცავს ინგრედიენტებს, რომლებიც უარყოფითად



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 12/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

მოქმედებს რეპროდუქციაზე.\*

STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია . . . . .	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა და თავბრუსხვევა და სასუნთქი გზების გაღიზიანება.
STOT – განმეორებითი ექსპოზიცია . . . . .	აქტიური ინგრედიენტის – ბიფენტრინისათვის გაიზიანება შემდეგი: სამიზნე ორგანო: ნერვული სისტემა. განმეორებითმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ნეიროტოქსიკური მოქმედება. 90-დღიან კვლევაში ვირთაგვებში დაფიქსირდა ტრემორი და კრუნჩხვები (LOAEL) 7,5 მგ/კგ სწ დღეში დოზის დონის დროს (მეთოდი EPA 82-1).
ასპირაციის საშიშროება . . . . .	პროდუქტი იწვევს ასპირაციული პნევმონიის საშიშროებას.
სიმპტომები და ეფექტები, მწვავე და შეყოვნებული	კონტაქტისას, ბიფენტრინმა ზემოქმედების ადგილებში შეიძლება გამოიწვიოს წვის, ჩხვლეტის ან დაზუჟების შეგრძნება (პარესთეზია), რომელიც უვნებელია მსუბუქი ექსპოზიციის დროს, თუმცა შეიძლება საკმაოდ მტკივნეული იყოს, განსაკუთრებით თვალში მოხვედრისას. ეფექტი შეიძლება გამოწვეული იყოს შეხვევით, აეროზოლთ ან დაბინძურებული ხელთათმანიდან გადასვლით. ეფექტი ხანმოკლეა, გრძელდება 24 საათამდე, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მეტი ხნით გაგრძელდეს. ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც გაფრთხილება, რომ მოხდა გადაჭარბებული ზემოქმედება და არსებული სამუშაო პრაქტიკა უნდა გადაიხედოს.  ჩაყლაპვის ან შესუნთქვის შემთხვევაში მცირე დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს არასპეციფიკური სიმპტომები (მაგალითად, გულისრევა, ღებინება, ფაღარათი). უფრო დიდმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევა (მაგალითად, ტრემორი, კრუნჩხვები, კომა).
<u>ბიფენტრინი</u> ტოქსიკოკინეტიკა, მეტაბოლიზმი და განაწილება	პერორალური მიღების შემდეგ, ნივთიერება მხოლოდ ნაწილობრივად შეიწოვება. ის ვრცელდება ძირითადად კანსა და ცხიმოვან ქსოვილებში. ის ნაწილობრივ მეტაბოლიზდება და თითქმის სრულად გამოიდევენება 48 საათის განმავლობაში. დაგროვების პოტენციალი არ არსებობს.
მწვავე ტოქსიკურობა . . . . .	ბიფენტრინი ტოქსიკურია ინჰალაციისას და ჩაყლაპვის შემთხვევაში. კანთან კონტაქტით გამოწვეული ტოქსიკურობა ნაკლებად მძიმე. მწვავე ტოქსიკურობა იზომება როგორც:
შეყვანის გზა: <ul style="list-style-type: none"> <li>- ჩაყლაპვა</li> <li>- კანი</li> <li>- ინჰალაცია</li> </ul>	LD50, პერორალური, ვირთაგვა: დაახლ. 55 მგ/კგ (მეთოდი EPA 81-1) LD50, დერმალური, ვირთაგვა: > 2000 მგ/კგ (მეთოდი EPA 81-2) * LC50, ინჰალაცია, ვირთაგვა: 1.01 მგ/ლ/4სთ (მეთოდი OECD 403)
კანის კოროზია/გაღიზიანება . . . . .	არ აღიზიანებს კანს (მეთოდი EPA 81-5). *
თვალის სერიოზული დაზიანება/ გაღიზიანება . . . . .	არ აღიზიანებს თვალს (მეთოდი EPA 81-4).*
რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია . . . . .	არის სუსტი სენსიბილიზატორი.



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 13/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

*არმატული ნახშირწყალბადები. C9*

მწვავე ტოქსიკურობა . . . . .	არ ითვლება როგორც საშიშ ნივთიერება.* მწვავე ტოქსიკურობა გაიზომა როგორც:
შეყვანის გზა: - ჩაყლაპვა	LD <sub>50</sub> , პერორალური, ვირთაგვა: 3592 მგ/კგ (OECD 401-ის მსგავსი მეთოდი)
- კანი	LD <sub>50</sub> , დერმალური, ვირთაგვა: >3160 მგ/კგ (OECD 402-ის მსგავსი მეთოდი)
- ინჰალაცია	LC <sub>50</sub> , ინჰალაცია, ვირთაგვა: >6.02 მგ/ლ (OECD 403-ის მსგავსი მეთოდი )
კანის კოროზია/გალიზიანება . . . . .	მსუბუქად აღიზიანებს კანს ხანგრძლივი ექსპოზიციის დროს. შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე (OECD 404-ის მსგავსი მეთოდი).
თვალის სერიოზული დაზიანება/ გალიზიანება . . . . .	შეიძლება გამოიწვიოს თვალის მსუბუქი, ხანმოკლე დისკომფორტი (OECD 405-ის მსგავსი მეთოდი). *
რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია . . . . .	აღერგიული რეაქციები არ არის მოსალოდნელი (OECD 406-ის მსგავსი მეთოდი). *
ასპირაციის საშიშროება . . . . .	არმატული ნახშირწყალბადები წარმოქმნის ასპირაციის საშიშროებას.

*ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტეებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები*

ტოქსიკოკინეტიკა, მეტაბოლიზმი და განაწილება	პერორალური მიღების შემდეგ ნივთიერება ადვილად შეიწოვება, მეტაბოლიზდება და მის მეტაბოლიტებთან ერთად გამოიყოფა ძირითადად ნაღველში.
მწვავე ტოქსიკურობა . . . . .	ნივთიერება მავნეა კანზე შეხების დროს, მაგრამ ჩაყლაპვის შემთხვევაში ის არ ითვლება საშიხად. მსგავს ნივთიერებაზე მწვავე ტოქსიკურობა გაიზომა როგორც:
შეყვანის გზა: - ჩაყლაპვა	LD <sub>50</sub> , პერორალური, ვირთაგვა: >2000 მგ/კგ (მეთოდი OECD 401) *
- კანი	LD <sub>50</sub> , დერმალური, ვირთაგვა: 1000 – 1600 მგ/კგ (მეთოდი OECD 402)
- ინჰალაცია	LC <sub>50</sub> , ინჰალაცია, ვირთაგვა: არ არის ხელმისაწვდომი.
კანის კოროზია/გალიზიანება . . . . .	აღიზიანებს კანს (გაიზომა მსგავს ნივთიერებაზე).
თვალის სერიოზული დაზიანება/გალიზიანება . . . . .	აღიზიანებს თვალს, თვალის მუდმივი დაზიანების პოტენციალით (გაიზომა მსგავს ნივთიერებაზე).
კანის სენსიბილიზაცია . . . . .	არ აქვს მასენსიბილიზებელი მოქმედება (გაიზომა მსგავს ნივთიერებაზე, მეთოდი OECD 406). *

**პარაგრაფი 12: ეკოლოგიური ინფორმაცია**

**12.1. ტოქსიკურობა** პროდუქტი უკიდურესად ტოქსიკურია თევზის, წყლის უხერხემლოებისა და მწერებისათვის. ის არ ითვლება როგორც წყლის მცენარეების, ნიადაგის მიკრო- და მაკროორგანიზმებისა და ფრინველების მიმართ მავნე.

ეკოტოქსიკურობა გაიზომა მოქმედ ნივთიერებაზე **ბიფენტრინზე**:



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 14/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

-თევზები	Rainbow trout ( <i>Oncorhynchus mykiss</i> ) . . . . .	96-სთ LC <sub>50</sub> : 0.10 მკგ /ლ 30-დღიანი NOEC: 0,012 მკგ /ლ
- უხერხემლოები	დაფნიდები ( <i>Daphnia magna</i> ) . . . . .	48-სთ LC <sub>50</sub> : 0.11 მკგ /ლ 21-დღიანი NOEC: 0.00095 მკგ /ლ
- წყალმცენარეები	მწვანე წყალმცენარეები . . . . .	IC <sub>50</sub> ხსნადობის ზღვარზე ზემოთ
-ჭიაყელები	<i>Eisenia foetida foetida</i> . . . . .	14-დღიანი LC <sub>50</sub> : > 18,9 მგ/კგ ნიადაგზე
-ფრინველები	ვირჯინიული გნოლი ( <i>Colinus virginianus</i> ) . . .	LD <sub>50</sub> : 1800 მგ /კგ
-მწერები	ფუტკრები ( <i>Apis mellifera</i> )	24 სთ LD <sub>50</sub> , პერორალური: 0,1 მკგ/ფუტკარზე

**12.2. მდგრადობა და დეგრადაცია . . . . .** ბიფენტრინი არ არის ადვილად ბიოდეგრადირებადი. ნიადაგში მისი ნახევარდაშლის პირველადი პერიოდი გარემოებიდან გამოდინარე შეადგენს რამდენიმე თვეს. ის არ არის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში მიკროორგანიზმების მიმართ ტოქსიკური, მაგრამ ძალიან ნელა განიცდის დეგრადაციას.

**არომატული ნახშირწყალბადები** სწრაფად არ განიცდის ბიოდეგრადაციას. ამასთან, მოსალოდნელია, რომ ისინი ბუნებრივ გარემოში დაიშლება ზომიერი სიჩქარით. BOD<sub>5</sub>/COD თანაფარდობამ შეადგინა 0.43. აორთქლებისას, ნარევი სწრაფად იშლება ჰაერში.

პროდუქტი მცირე რაოდენობით შეიცავს კომპონენტებს, რომლებიც სრულად არ იშლება ნიადაგში და შეიძლება არ განიცადოს ბიოდეგრადაცია ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობებში.

**12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი . . . . .** ნ-ოქტანოლი/წყალი განაწილების კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-9 პარაგრაფში.

**ბიფენტრინს** აქვს ბიოაკუმულაციის პოტენციალი, მაგრამ წყლის ორგანიზმების მიმართ მისი მაღალი მწვავე ტოქსიკურობის გათვალისწინებით, ბიოაკუმულაცია არ არის აქტუალური.

**არომატულ ნახშირწყალბადებს** აქვს ბიოაკუმულაციის ზომიერი პოტენციალი უწყვეტი ექსპოზიციის დროს. კომპონენტების უმეტესობა მეტაბოლიზდება მრავალი ორგანიზმის, ბაქტერიის, სოკოებისა და სხვა მიერ. ზოგიერთი ძირითადი კომპონენტის ბიოაკუმულაციის ფაქტორი (BCFs) არის 300 - 400 (მოდელური გამოთვლებით).

**12.4. მიგრაცია /მოხილურობა ნიადაგში . . . . .** ბიფენტრინი არ არის ნიადაგში მოხილური. ის მტკიცედ უკავშირდება ნიადაგის ნაწილაკებს.

**არომატული ნახშირწყალბადები** არ არის გარემოში მოხილური, მაგრამ მათ ახასიათებს ძლიერი აქროლადება და წყალში ან ნიადაგის ზედაპირზე მოხვედრის შემთხვევაში სწრაფად აორთქლდება ჰაერში. ისინი ცურავს ზედაპირზე და შეუძლია ნალექში გადასვლა.

**12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები . . . . .** არცერთი ინგრედიენტი არ აკმაყოფილებს PBT ან vPvB კრიტერიუმებს.

**12.6. სხვა არასასურველი/მავნე ეფექტები** ბუნებრივ გარემოში სხვა არსებითი მავნე ეფექტები არ არის ცნობილი.



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 15/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

**♣ პარაგრაფი 13: განკარგვა/უტილიზაცია**

**13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები** პრეპარატის ნარჩენი რაოდენობა და ცარიელი, მაგრამ დაბინძურებული ტარა უნდა ჩაითვალოს როგორც სახიფათო ნარჩენები.

პრეპარატის ნარჩენებისა და ტარის უტილიზაცია ყოველთვის უნდა განხორციელდეს ყველა მოქმედი ადგილობრივი რეგულაციის შესაბამისად.

პროდუქტის უტილიზაცია ..... ნარჩენების შესახებ ჩარჩო დირექტივის (2008/98/EC) თანახმად, პირველ რიგში უნდა იქნეს განხილული პროდუქტის ხელმეორედ გამოყენების ან გადამუშავების შესაძლებლობა. თუ ეს ვერ ხერხდება, პრეპარატის უტილიზაცია შესაძლებელია ლიცენზირებულ ქიმიური განადგურების ქარხანაში გადატანით ან კონტროლირებადი ინსენერაციითა და გამონაბოლქვი აირების გაწმენდით.

არ დააბინძუროთ წყალი, კვების პროდუქტები, ფურაჟი და მარცვლეული შენახვისა და უტილიზაციის დროს. არ ჩაღვართ საკანალიზაციო სისტემებში.

პროდუქტის ტარის უტილიზაცია ..... რეკომენდებულია უტილიზაციის შესაძლო გზების განხილვა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პირველ რიგში უნდა განიხილოთ ხელმეორედ გამოყენების ან რეციკლირების შესაძლებლობა. ხელმეორედ გამოყენება შეუძლია მხოლოდ ავტორიზაციის მფლობელის. თუ რეციკლირება შესაძლებელია, ტარა უნდა დაიცალოს და სამჯერ გაირეცხოს (ან ეკვივალენტური). ნარეცხი წყალი არ ჩაღვართ საკანალიზაციო სისტემებში.
2. წვადი შესაფუთი მასალებისათვის შესაძლებელია კონტროლირებადი ინსენერაცია, გამონაბოლქვი აირების გაწმენდით.
3. პროდუქტის შეფუთვის/ტარის სახიფათო ნარჩენების უტილიზაციის უფლებამოსილი სამსახურისათვის მიწოდება.
4. ნაგავსაყრელზე განთავსება ან ღია ცის ქვეშ დაწვა უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ტარა მთლიანად უნდა დაიცალოს, გამოირეცხოს და დაიხველიტოს, რომ სხვა მიზნებისთვის გამოუსადეგარი გახდეს. დაწვის დროს მოერიდეთ კვამლს.

**პარაგრაფი 14: ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია**

*ADR/RID/IMDG/IATA/ICAO კლასიფიკაცია*

- 14.1. გაეროს (UN) ნომერი ..... 1993
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი .. აალებადი სითხე, n.o.s. (ალკილ(C3-C4)ბენზოლები და ბიფენტრინი)
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 3
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი ..... III
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები ..... ზღვის დამაბინძურებელი
- 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის ..... მოერიდეთ პროდუქტთან ზედმეტ შეხებას. არასწორმა გამოყენებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას. პროდუქტი არ უნდა მოხვდეს გარემოში.



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 16/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

**14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების გადაზიდვა MARPOL 73/78 II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად . . . . .** დაუფასოებელი პროდუქტის გემით ტრანსპორტირება არ ხდება.

**❖ პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია**

- 15.1. ნივთიერებისა და ნარევისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა**
- სევესოს კატეგორია (დირ. 2012/18/EU): ეკოლოგიურად საშიში.  
სევესოს მეორე კატეგორია: აალებადი
- დამსაქმებელმა უნდა შეაფასოს უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის მიმართ რისკები და მუშაკთა ორსულობაზე ან ძუძუთი კვებაზე შესაძლო გავლენა და გადაწყვიტოს რა შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული (დირ. 92/85 / EEC).
- 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის ამ ნივთიერებასთან მუშაობა დაუშვებელია.
- ყველა ინგრედიენტისათვის დაცულია ევროკავშირის ქიმიურ კანონმდებლობა.
- 15.2 . ქიმიური უსაფრთხოების შეფასება . . . . .** ამ პრეპარატისთვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ არის საჭირო.

**❖ პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია**

- უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში არსებითი ცვლილებები . . . . . მხოლოდ მცირე შესწორებები.
- აბრევიატურების ჩამონათვალი . . . . .
- |                  |  |
|------------------|--|
| ACGIH            | ამერიკის სამთავრობო სამრეწველო ჰიგიენისტთა კონფერენცია   |
| BOD <sub>5</sub> | ჟბმ5– ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნა 5 დღის განმავლობაში  |
| CAS              | ქიმიური აბსტრაქტების სერვისი   |
| COD              | ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნა   |
| Dir.             | დირექტივა  |
| DNEL             | ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების უსაფრთხოების მაჩვენებელი   |
| EC               | ევროკავშირი<br>ემულსიის კონცენტრანტი   |
| EINECS           | არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული ნუსხა   |
| GHS              | ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა, მეხუთე შესწორებული გამოცემა 2013 წ |
| IBC              | დაუფასოებელი საშიში ქიმიური ტვირთების საერთაშორისო კოდექსი   |
| IC <sub>50</sub> | 50%-იანი ინჰიბირების კონცენტრაცია  |
| ISO              | სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია   |
| IUPAC            | თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირი   |
| LC <sub>50</sub> | 50%-იანი სასიკვდილო კონცენტრაცია   |





პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 17/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

LD <sub>50</sub>	50%-იანი სასიკვდილო დოზა
MARPOL	წესების კრებული საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციისგან (IMO) გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად
NOEC	არაეფექტური კონცენტრაცია
n.o.s.	სხვაგვარად მითითებული არ არის
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PBT	მდგრადი, ბიოაკუმულაციური და ტოქსიკური
PNEC	პროგნოზირებული არაეფექტური კონცენტრაცია
Reg.	რეგისტრაცია ან, რეგულაცია
STOT	სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა
TLV	ზღვრული ზღვრულადი კონცენტრაცია
TWA	საშუალო ცვლური
US-EPA	აშშ – გარემოს დაცვის სააგენტო
vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულაციური
WHO	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

ინფორმაციის წყარო

ამ პროდუქტზე გაზომილი მონაცემები არის გაუსაჯაროებელი კომპანიის მონაცემები. ინგრედიენტების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია გამოქვეყნებული ლიტერატურიდან და შეგიძლიათ იხილოთ რამდენიმე ადგილას.

კლასიფიკაციის მეთოდი

აალებადი სითხე: ტესტის მონაცემები  
 მწვავე პერორალური ტოქსიკურობა: ტესტის მონაცემები  
 მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა: ტესტის თარიღი  
 კანის გაღიზიანება: ტესტის მონაცემები  
 თვალის დაზიანება: ტესტის მონაცემები  
 კანცეროგენობა: გაანგარიშების წესები  
 სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა - ერთჯერადი ექსპოზიცია: გაანგარიშების წესები  
 სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა - განმეორებითი ექსპოზიცია: გაანგარიშების წესები  
 ასპირაციული ტოქსიკურობა: გაანგარიშების წესები  
 წყლის გარემოს მიმართ საფრთხეები: გაანგარიშების წესები

გამოყენებული საშიშროების აღმნიშვნელი ფრაზები

H226	აალებადი სითხე ან ორთქლი.
H300	სასიკვდილოა გადაყლაპვისას.
H302	მაკნეა გადაყლაპვისას.
H304	შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვის ან სასუნთქ გზებში მოხვედრისას.
H312	მაკნეა კანზე მოხვედრისას.
H315	იწვევს კანის გაღიზიანებას.
H317	შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
H318	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H331	ტოქსიკურია ჩასუნთქვისას.
H332	მაკნეა ჩასუნთქვისას.
H335	შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება.
H336	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა.
H351	კიბოს საეჭვო გამომწვევი.
H372	შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებისას.



პროდუქტის კოდი	6239-A	გვერდი 18/18
პროდუქტის დასახელება	<b>ტალსტარი 10 ეკ TALSTAR 10 EC</b>	მარტი 2018

- H400 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
- H410 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.
- H411 ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.
- EUH066 განმეორებითმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა.
- EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქცია.

რჩევები ტრენინგის შესახებ

ეს პრეპარატი უნდა გამოიყენონ მხოლოდ იმ პირებმა, რომლებსაც გათვითცნობიერებული აქვთ მისი რისკის შემცველი თვისებები და მიღებული აქვთ აუცილებელი უსაფრთხოების ზომების შესახებ ინსტრუქციები.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი და სანდო, თუმცა პროდუქტის გამოყენების პირობები განსხვავდება და შეიძლება არსებობდეს „ფმს კორპორეიშენ“-ის მიერ გაუთვალისწინებელი სიტუაციები. მომხმარებელმა ინფორმაციის საიმედოობა ადგილობრივ გარემო პირობებში უნდა გადაამოწმოს.

შედგენილია: „ფმს კორპორეიშენ“-ის/”ქემინოვა ა/ს“/GHB-ის მიერ